დამტკიცებულია: წარმომადგენლობითი საბჭოს

2024 წლის 29 დეკემბრის N53 დადგენილებით

სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის უფლება მოვალეობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს წესი არეგულირებს სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდეგში ,,უნივერსიტეტი“) სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა (შემდეგში სტუდენტი“) უფლებებსა და მოვალეობებს.

2. წინამდებარე წესი შედგენილია ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, პროფესიული განათლების შესახებ კანონის, უნივერსიტეტის წესდებისა და უნივერსიტეტში მოქმედი ნორმატიული აქტების საფუძველზე.

3. უნივერსიტეტის სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ძირითად საკითხები (სტუდენტის სტატუსის მოპოვება, სტატუსის შეჩერება/შეწყვეტა, მობილობა/შიდამობილობა, შეფასების სისტემა და სხვ.) რეგულირდება უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით.

4. სტუდენტის ქცევის საერთო და აკადემიურ პროცესთან დაკავშირებულ წესებს, ეთიკის საერთო და აკადემიურ პროცესთან დაკავშირებული წესების დაღვევისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხები რეგულირდება უნივერსიტეტის სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის ეთიკის კოდექსით.

მუხლი 2. სტუდენტის უფლებები

1.უნივერსიტეტის სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს:

ა) სტუდენტს უფლება აქვს:

ა) მიიღოს ხარისხიანი განათლება;

ბ) მონაწილეობა მიიღოს მეცნიერულ კვლევაში;

გ) უნივერსიტეტის დაწესებულების წესდებით, შინაგანაწესითა და დებულებებით დადგენილი წესით თანაბარ პირობებში ისარგებლოს უმაღლესი სასწავლო უნივერსიტეტის მატერიალურ- ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;

დ) საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით აირჩიოს წარმომადგენელი და არჩეულ იქნეს სტუდენტურ თვითმმართველობაში, ასევე უნივერსიტეტის და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის მართვის ორგანოებში უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად;

ე) თავისუფლად დააფუძნოს ან/და გაერთიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციებში თავისი ინტერესების შესაბამისად;

ვ) თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომელსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;

ზ) კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული წესით სწავლების მეორე წლიდან გადავიდეს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ხოლო სახელმწიფო დაფინანსების გადატანის წესს განსაზღვრავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი;

თ) დადგენილი წესით გადავიდეს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე;

ი) კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად მიიღოს სტიპენდია, ფინანსური ან მატერიალური დახმარება, სხვა სახის შეღავათები;

კ) აირჩიოს საგანმანათლებლო პროგრამა;

ლ) მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში;

მ) პერიოდულად მოახდინოს აკადემიური პერსონალის მუშაობის შეფასება;

ნ) აიღოს აკადემიური შვებულება.

ო) გაასაჩივროს შუალედური/დასკვნითი/განმეორებითი გამოცდის შედეგები.

2. სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოება უნდა იყოს დისციპლინური გადაცდომის პროპორციული და შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ უნივერსიტეტის წესდებითა და შინაგანაწესით გათვალისწინებულ შემთხვევებში და გათვალისწინებული წესით.

3. სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყება არ უნდა ზღუდავდეს სტუდენტის უფლებას, მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, გარდა უნივერსიტეტის წესდებითა და შინაგანაწესით გათვალისწინებული შემთხვევებისა, თუ ეს საფრთხეს უქმნის სხვისი უფლებების, ჯანმრთელობის, უნივერსიტეტის საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვას.

4. სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების საკითხს წყვეტს უნივერსიტეტი . სტუდენტს უფლება აქვს, დაესწროს თავისი საქმის განხილვას.

5. დისციპლინური წარმოების განხორციელებისას სტუდენტს უფლება აქვს:

ა) წერილობითი ფორმით მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ;

ბ) დაესწროს დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვას და ისარგებლოს დაცვის უფლებით;

გ) მიაწოდოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამის ორგანოს თავის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები;

დ) მონაწილეობა მიიღოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი ორგანოს მიერ მოპოვებული მტკიცებულებების გამოკვლევაში;

ე) მოითხოვოს, მის მიმართ დისციპლინური წარმოების საკითხი განხილულ იქნეს საჯარო სხდომაზე.

6. დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვისას მტკიცების ტვირთი აწევს უნივერსიტეტს. დისციპლინური წარმოების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და ემყარებოდეს მტკიცებულებებს. ყველა მტკიცებულება, რომლებიც დისციპლინური წარმოების საფუძველია, უნდა გამოიკვლიოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისმა ორგანომ.

7. სტუდენტს უფლება აქვს გაასაჩივროს უნივერსიტეტის მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება.

8. უნივერსიტეტი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებისთვის აწესებს შეღავათებს მათი სრულფასოვანი განათლებისათვის აუცილებელი პირობების შესაქმნელად.

მუხლი 3. სტუდენტის ვალდებულებები

სტუდენტი ვალდებულია უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პროგრამის მიხედვით ისწავლოს ყველა ის საგანი, რომელიც საკუთარი სურვილით აირჩია და რომლის სწავლება სავალდებულოა. დაიცვას უნივერსიტეტის წესდება, შინაგანაწესი, სტუდენტის/ პროფესიული სტუდენტის ეთიკის კოდექსი და უნივერსიტეტში მოქმედი წესები.

მუხლი 4. სტუდენტთა თვითმმართველობის უფლებები

1. უნივერსიტეტში ფარული კენჭისყრით, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი არჩევნების საფუძველზე იქმნება ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის მიხედვით არჩეული სტუდენტური თვითმმართველობა.

2. ძირითად საგანმანათლებლო ერთეულზე არჩეული სტუდენტური თვითმმართველობის ერთობლიობა არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თვითმმართველობა, რომელიც შეიმუშავებს სტუდენტური თვითმმართველობის დებულებას.

3. სტუდენტური თვითმმართველობა თავისი დებულების შესაბამისად:

ა) უზრუნველყოფს სტუდენტთა მონაწილეობას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვაში;

ბ) ხელს უწყობს სტუდენტთა უფლებების დაცვას;

გ) ირჩევს წარმომადგენლებს ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის საბჭოში;

დ) უფლებამოსილია შეიმუშაოს წინადადებები უნივერსიტეტში მართვის სისტემისა და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, რომელთაც წარუდგენს შესაბამის ორგანოს;

ე) განახორციელებს დებულებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციას უფლება არა აქვს ჩაერიოს სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში.

მუხლი 5. სტუდენტის სტატუსის აღდგენა

1.შეჩერებული სტატუსის მქონე სტუდენტი უნივერსიტეტის რექტორის ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე დადგენილ ვადაში მიმართავს უნივერსიტეტს განცხადებით სტატუსის აღდგენის შესახებ.

2. შეჩერებული სტატუსის აღდგენა შესაძლებელია სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ - შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრების დაწყებამდე.

3. სტატუსის აღდგენა შესაძლებელია სტატუსის შეჩერებიდან ხუთი წლის მანძილზე.

მუხლი 6 .სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

ა)შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;

ბ)პირადი განცხადება ;

გ)სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან ხუთწლიანი ვადის ამოწურვა, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

დ) საქართველოს უმაღლესი განათლებისა და პროფესიული განათლების შესახებ კანონებით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები;

ე) უნივერსიტეტის ,,შინაგანაწესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებითა“ და „სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის ეთიკის კოდექსით“ გათვალისწინებული შემთხვევები;

ვ)საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიუღწევლობა: კრედიტების მიღებისათვის ერთი და იმავე დისციპლინის ორჯერ მოსმენის შემდეგაც F შეფასების მიღება;

ზ)სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლა.

2.სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3.სტატუსის შეწყვეტის კანდიდატს აქვს მობილობის უფლება სტატუსის შეწყვეტის შესახებ რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამოცემიდან თორმეტი თვის განმავლობაში.

მუხლი 7 . სტუდენტის სტატუსის შეჩერება

1. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

ა)აკადემიური შვებულება;

ბ)ავადმყოფობა;

გ)უცხო ქვეყანაში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა(გარდა გაცვლითი საგანამანათლებლო პროგრამის ფარგლებში სასწავლო უნივერსიტეტიდან წასული სტუდენტისა);

დ)ფინანსური დავალიანება;

ე) სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა მძიმე, ან განსაკუთრებით მძიმედანაშაულისათვის განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე;

ვ)პირადი განცხადება.

ვ) უნივერსიტეტის ,,შინაგანაწესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებითა“ და „სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის ეთიკის კოდექსით“ გათვალისწინებული შემთხვევები;

2.ადმინისტრაციული (ფინანსური) და აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობა.

3. პირი, რომელსაც გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილი კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ეთვლება, განიხილება სტუდენტის სტატუსის შეჩერებულ პირად სახელმწიფოს მიერ აღიარებულ რეჟიმში სწავლის შეწყვეტიდან 10 წლის განმავლობაში.

მუხლი 8. სტუდენტების მიერ აკადემიური შვებულებით სარგებლობა

1. სტუდენტს აქვს უფლება აიღოს აკადემიური შვებულება შემდეგ შემთხვევებში:

ა) ავადმყოფობა;

ბ) სასწავლებლად უნივერსიტეტიდან უცხოეთში წასვლა, როცა სტუდენტი სწავლას იწყებს ან განაგრძობს საგანმანათლებლო პროგრამაზე;

გ) მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო.

2.უნივერსიტეტი უფლებამოსილია განიხილოს აკადემიური შვებულების მიცემის საკითხი სხვა ისეთი ობიექტური გარემოების არსებობისას, რომელიც სტუდენტს ხელს უშლის სწავლის გაგრძელებაში, რაც დასაბუთებული უნდა იყოს დოკუმენტებითა და

არგუმენტებით. ასეთ შემთხვევაში აკადემიური შვებულების მიცემის მიზანშეწონილობის საკითხს ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით წყვეტს რექტორი.

3.აკადემიური შვებულების ვადა უნდა მოიცავდეს არანაკლებ ერთ სასწავლო სემესტრს, ხოლო აკადემიური შვებულების მაქსიმალური ვადა შეიძლება იყოს ორი სასწავლო წელი.

4. სტუდენტი, რომელსაც სურს ისარგებლოს აკადემიური შვებულებით, განცხადებით მიმართავს სასწავლო უნივერსიტეტს აკადემიურ შვებულებაში გასვლის თაობაზე.

მუხლი 9. სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხები

სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს არეგულირებს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესიები.